№ 92
აპრილის 29, სამშაბათი 1903 წ.
1877

# იბერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 92
აპრილის 29, სამშაბათი 1903 წ.
1903

ქვრივი ეკატერინე კაციას ასული კალატოზიშვილისა და დიმიტრი დავითის ძე კალატოზიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 29 აპრილს, სოფ. საღოლაშენს გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**დავით (ჩიტო) დიმიტ. ძის კალატოზიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1—ნ—1)

---

კნეინა მელანია ივანეს ასული ჩოლოყაშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისას და მეორენი მამისას

**თავ ნიკოლოზ თად. ჩოლოყაშვილისას**

და სთხოს მობრძანდნენ გვამის გამოსვენებაზედ სოფელ ყარაბულახს, პირველ მაისს, დილის 11 საათზედ. (2—115—1)

---

**უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში** აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

**ღვინო ისყიდება:**

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრეანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თვ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—ნ.—14)

---

## ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

**დაარსებულია 1847 წელს.**

**ძირითადი თანხა** . . . . . 1.650.000 მან.
**სათადარიგო თანხა** . . . . . 2.664,808 მან.

### I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილს, კავკასიაში, შუა სიაში, სიბერიაში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში სზღვარ-გარეთ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიდებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარება ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის სურჯზედ, ფულის გაგზავნა დეშეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, ს

## სეირნობა ქუთაისში.

ქუთაისის საქალაქო ბაღში (ბულვარში) კვირას, **მაისის 4**, დანიშნულია **სეირნობა** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის გამგე დიასახლისი ბრძანდება პატივცემული თავ. პეტრე წულუკიძის მეუღლე კნ. ოლგა ივანეს ასული. ბაღი იქმნება საუცხოოდ განათებული და [illegible]ჩირაღდნებული, მოწყობილი კარვებით და ფანჩატურებით ბუფეტით და სანოვაგით.

იქნება მუსიკა, ხორცი და [illegible] მოიწვიონ ქართველ მომღერალთა გუნდი, რომ სეირნობას ჩვენებური ელფერი ჰქონდეს.

ყოველ ეკვს გარეშეა, რომ ქუთაისის საზოგადოება და ხალხი, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, სრულის გულმხურვალებით მიეგებება ამ ყველასაგან სათანაგრძნობო ჩვენის განათლების საქმეს.

მეთვალყურე

## დღიურს ვარამზე.

მოგეხსენებათ, რომ ამ დღეებში უნდა მოხდეს კრება აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისა. კრებას, სხვათა შორის, ექმნება სჯა-ბაასი სხვა-და-სხვა წოდებრივი გაჭირების შესახებ, რომელიც ამავე დროს საზოგადო გაჭირებასაც შეადგენს, მთელის ქართველობის ვარამს წარმოადგენს. ამ გაჭირებათა გამორკვევა, მათი გათვალისწინება, შესაბამი შუამდგომლობის აღძრა და დაკმაყოფილება თავად-აზნაურობისათვისაც სასარგებლო იქმნება და მთელი ქვეყნისათვისაც სარგო.

ამ საჭირ-ბოროტო საკითხთა შორის უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს სწავლების მოწყობას დაბალს სკოლებში გასაგებ, მშობლიურს ენაზე. ჯეროვანი შუამდგომლობის აღძრა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დიდი ღვაწლი იქნება ქვეყნის წინაშე თავად-აზნაურობის მხრივ. ახლანდელი მომენტიც იდეალურად არის მოხერხებული სწორედ ამ შუამდგომლობისათვის. და აი რად.

მკითხველებს კარგად ეხსომებათ, რომ, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, შარშან შემოდგომაზე დაარსდა პეტერბურგში განსაკუთრებული საბჭო (особое совѣщаніе), რომელსაც საგნად აქვს გამოიკვლიოს მიზეზნი მეურნეობის დაცემისა რუსეთში და დაასახელოს შესაბამი ღონისძიებანი მის აღსადგენად და ფეხზე დასაყენებლად. ამ საბჭომ თავისს მხრივ მიმართა ყველა ადგილობრივს დაწესებულებას, რომელსაც-კი რაიმე კავშირი აქვს მეურნეობასთან, და დაავალა ყოველი მხრივ გაესინჯა აღძრული საკითხი, გამოეკვლია საგანი და თავისი დასკვნანი წარედგინა მისთვის. ეს დავალება ჩინებულად შეასრულეს ჩვენში საგუბერნიო კომიტეტებმა და სამეურნეო საზოგადოებამ.

მათ ჩვენის ქვეყნის მეურნეობის დაქვეითება უმთავრესად დაბრალეს ხალხის უმეცრებას, რომელიც შედეგია იმისიო, რომ პირველ დასაწყისს სკოლებშიც სწავლება მიდის გაუგებარს, რუსულს ენაზე. მოზარდი თაობა ვერაფერსა სწავლობს სკოლებში, განვითარების მაგიერ გონება უჩლუნგდება, უაზრობას ეჩვევა, შრომასაც ტყუილად აკლდება და სკოლა, რომლის მენახვა ღარიბ ხალხს მძიმე ტვირთად აწევს, სრულიად უნაყოფო დაწესებულებას წარმოადგენსო. საჭიროა აწინდელის სწავლების გეგმა და სისტემა შეიცვალოს და აღდგენილ იქმნას მშობლურს ენაზე ყველა საგნების სწავლება ერთ-კლასიანს სკოლებში, ხოლო რუსული ენა ისწავლებოდეს ყოველ დღე და ყველა განყოფილებაში, როგორც კერძო საგანი. ასეთი სისტემა სწავლებისა იქმნება განხორციელება იმპერატორის ალექსანდრე მეორის უქაზისაო, რომელიც პედაგოგიის მხრივაც და პოლიტიკური მნიშვნელობითაც სწორედ სიბრძნის ნაყოფად უნდა ჩაიოვალოსო.

ასე სჯიდნენ და ასეთ დასკვნამდის მივიდნენ ყველა წევრები სამივე მოხსენებული დაწესებულებისა—არა მარტო ჩვენებურები, თვით რუსებიცა, და მათ შორის გუბერნატორებიცა. ამის გამო მათ დადგენილებას სწორედ მათემათიკურ აქსიომის, ჭეშმარიტების ძალა აქვს.

აქაური გაზეთები ხომ წინადაც ამ აზრს ადგნენ და ახლა ხომ უფრო მეტი ძალით ქადაგობენ.

დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობაც, რომელიც ყოველთვის სცდილობდა და სცდილობს, თავის სასიქადულოდ და ქვეყნის სასარგებლოდ, დროთა მოთხოვნილობას უკან არ ჩამორჩეს, აპირობს თურმე ამ მაისის კრებაზე აღძრას ეს საკითხი და შესაბამი შუამდგომლობა წარადგინოს, სადაც ჯერ არს.

განა ამაზე მოხერხებული დრო კიდევ როდისმე დაუდგება ქართლ-კახეთის თავად აზნაურობას განმარტებული შუამდგომლობისათვის? გზა სხვებისაგან უკვე გაკვლეულია, საჭიროა მხოლოდ, რომ იგიც ამავე გზას დაადგეს. ხორო გაჩაღებულია, ჩვენს თავადაზნაურობას მხოლოდ ბანის მიცემა დასჭირდება, სხვა არაფერი. ამ ბანის მიცემით ჩვენებური თავად-აზნაურობა ღირსეულს ადგილს დიპქერს მღალადებელთა ხოროში, სიძლიერეს მისცემს ამ ხოროს ღალადებასა და საქმის კეთილად დაგვირგვინებას დაეხმარება, ქვეყნის სალხენად და თავის სასიქადულოდ.

ხოლო განზე გადგომით, სიჩუმით, იგი დაუძლურებს სხვათა შუამდგომლობასაც, დიდ მნიშვნელოვანს საქმეს ხელს შეუშლის, სიბნელეს გამოესარჩლება, თავის თავს და საზოგადოებას აზარალებს და თავის სახელსაც საოთაკილო ჩრდილს მიაყენებს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენებური თავად-აზნაურობა დაადგება პირველს, სასიქადულო და მხსნელს გზასა და იკისრებს შემდეგს მარტივს შუამდგომლობასა: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თავის წინადა მოვალეობად რაცხს აღიაროს, რომ მეურნეობის დაცემა არის უმთავრესად შედეგი ხალხის სრული უმეცრებისა. ამ უმეცრების გასაქარწყლებლად და მეურნეობის აღსადგენად მას მიაჩნია საუკეთესო ღონისძიებად, თანახმად იმპერატორის ალექსანდრე მეორის უქაზისა 30 აგვისტოდგან 1864 წლისა, სწავლების მოწყობა სახალხო სკოლებში გასაგებ, მშობლიურს ქართულს ენაზე. ამასთან რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს ყოველ დღე და ყოველ განყოფილებაში, როგორც სავალდებულო საგანი.

ი. ვარიანელი.

## სენაკის საადნაურო სკოლის გადატანა.

(სამეგრელოს თავად-აზნაურთა საყურადღებოდ)

(დასასრული *)

ახლა, რაკი პირველი საკითხი, ე. ი. მოსამზადებელ კლასების ახალ-სენაკში გადატანის სარგებლობა შეძლებისადაგვარად განვმარტე, ვკადნიერდები, ჩემი მოსაზრება გავუზიარო მკითხველს ძველ-სენაკში სამეურნეო კურსების გამართვის შესახებაც.

ისტორია ამ საკითხისა ამ გვარია: ამ რამდენისამე წლის წინად საქმისადმი გულ-შემატკივრებს განუზრახავთ გამართვა ერთისა თუ ორის სამეურნეო სპეციალურ კლასისა, რომელიც უნდა ყოფილიყო განგრძობა აწინდელი ოთხის განყოფილების კურსისა. ამ განზრახვას, როგორც საქმიდგან სჩანს, ადგილობრივნი მკვიდრნიც სიხარულით მიჰგებებიან და არც დაუშურებიათ თავისი წვლილი ამ აზრით საჭირო ქვითკირის შენობის ასაგებად. შენობა უკვე დამთავრებულია, დიდი ხანია, მაგრამ რა აზრითაც იგი აშენდა, ის აზრი დღემდე აზრადვე რჩება.

განზრახვის შეუსრულებლობის თავი და თავი მიზეზი, რასაკვირველია, უფულობაა, ხოლო ვერც იმას ვიტყვით, რომ საკითხი სხვა მხრივ მაინც იყოს გამორკვეული. ზნეობრივად და თითქმის, იურიდიულადაც-კი ვალდებულნი ვართ საზოგადოებას აღთქმა შევუსრულოთ. მით უმეტეს ახლა მაინც, როცა სამეურნეო საკითხების შესახებ მთელი ქვეყანა მსჯელობს.

მართალია, იქნება საკითხი სამეურნეო კლასების საუმჯობესოდ მართვა-მოწყობისა ჩემს კომპეტენციას აღემატება, მაგრამ მე თუ ამ საკითხს შევეხე,—შევეხე, იმდენად, რამდენადაც შესაძლოა დაწუნებულ იქმნას ამ საკითხის იმ სახით განხორციელება, როგორც ჰფიქრობდნენ და ღღესაც ჰფიქრობენ ზოგიერთნი. ზემოდაც ვსთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ სკოლასთან ანგარიშგასაწევ სპეციალურ სამეურნეო კლასების დაარსებას ჯერ ერთი ის აფერხებს, რომ ფული არ არის და მეორე ისა, რომ საკითხი სხვა მხრივაც არ არის გამორკვეული. არავის გაუთვალისწინებია, მაგალითებისათვის, თუ რა სახისა უნდა ყოფილიყო ეგ სპეციალური კლასი, რამდენის წლის კურსი უნდა ყოფილიყო ამ კლასში, რა დაჯდებოდა მისი შენახვა ან რა დამოკიდებულება უქნებოდა აწინდელ მოსამზადებელ კლასებთან. ისიც-კი თავსატეხ კითხვად გამხდარა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სკოლის გამგე „სპეციალისტ-მეურნე“, თუ „სპეციალისტ-პედაგოგი“. მართლაც რომ თავსატეხი საკითხია ესა და თავსატეხ საკითხავადვე დარჩება, მანამ იმ შეგნებამდე არ მივალთ, რომ ამგვარად ნაძალადევი შეკოწიწება ორის, სულ სხვა-და-სხვა სურვილისადმი მიმართულ დაწესებულებისა აბსურდია.

მართლადაც, აბა რა შინაგანი კავშირი ექნება, აწინდელ სკოლას სპეციალურ კლასებთან? სრულიად არავითარი! კავშირი მხოლოდ ის იქნება, რომ ერთ ეზოში იქნებიან სკოლისა და „კლასების“ შეგირდები არსებულ მოსამზადებელ სკოლას, თუნდ აქვე დარჩეს, მაინც თავისი აზრი და მისწრაფება აქვს: ამზადებს ღარიბ აზნაურთა შვილებს შუათანა სასწავლებლების პირველ კლასისათვის, უფროსკი ქუთაისის სააზნაურო პროგიმნაზიისათვის. ამ აზრის გვერდის ახვევა მავნებელიც არის და უხერხულიც. მავნებელია იმისთვის, რომ ეგ გვერდის ახვევა გამოიწვევს პროგრამის შეცვლას, რაც სრულიად სასურველი არ არის დღევანდელ გარემოებაში სამეგრელოს მკვიდრთათვის. უხერხულია მისთვის, რომ „ძალად მაცხონე—ღმერთსა, სძულდაო“. მართლადაც, რა უფლება გვაქვს ყმაწვილის მშობელს ვუთხრათ- „გინდა, თუ არა, შენმა შვილის წლის ბალღმა, რომელიც ან-ბანის დასასწავლად სკოლის პირველ განყოფილებაში შემოიყვანე, უსათუოდ დღეიდგანვე თოხისა და ბარის ხმარებაშიც უნდა ივარჯიშოს, თორემ ხომ ჰხედავ, აი, ჩვენ სპეციალური სამეურნეო კლასი გვაქვს და როცა შენი შვილი ოთხს განყოფილებას დაასრულებს, „სპეციალურ“ კლასში უნდა განაგრძოს სწავლა. ხოლო ამისათვის საჭიროა თოხ-ბარის ხმარებაში დღეიდგანვე ივარჯიშოს, თორემ „სპეციალურ კლასში“ ისე ვერას მოასწრებსო“.

როგორ ჰფიქრობთ, რა ნაირად იმოქმედებს ჩვენი ამ გვარი მოთხოვნილება იმ კაცზე, რომელიც ოცი წელიწადია შესთვისებია იმ აზრს, რომ სკოლა ამზადებდა ყმაწვილებს შუათანა სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად, რაც ღარიბი კაცისათვის დიდი შეღავათი არის, და ღღეს-კი ჩვენის მოთხოვნილებით ერთბაშად ვუსპოდ იმედს, რომ მისი შვილი ამ სკოლის კედლებს გასცილდება უმაღლეს სასწავლებლისაკენ მიმართულ კიბის საფეხურებზედ სავლელად? მხოლოდ იმედით-ღა ვსუნდგმულობთ და ამ იმედის მოსპობაც ხომ მოძაკვდინებელი ცოდვა იქნება?!

თუნდ კიდეც ვიიძულოთ უსასოო მშობელი უსუსურის ბავშვისა, რომ სკოლაში შემოსვლისათანავე თოხ-ბარი აიღოს ხელში... მერე? გამოდენება-კი რამე ამ იძულებისაგან?! დამერწმუნეთ, რომ ეს თავის მოტყუილება უფრო იქნება, ვინემ ნამდვილი სარგებლობა. შაგალითებისათვის შორს არ წავალ. თვალწინ ნათლად გვიდგას სამინისტრო ორკლასიანი სამაგალითო სკოლები სამეურნეო განყოფილებით. ეს სასწავლებლები გაცილებით უმჯობეს გარემოებაშია, ვიდრე ჩვენი სკოლა იქნება თავის ზედნადები სპეციალურ კლასით, იმ სახით რომ გადაკეთდეს, როგორც ფიქრობდნენ. „რა უპირატესობა აქვს სამინისტრო ორ-კლასიან სასწავლებლებსო“, შეიძლება იკითხოს ვინმემ. ის უპირატესობა აქვს, რომ ჯერ ერთი იმ სასწავლებლებში გლეხთა შვილები სწავლობენ, რომლებიც ფიზიკურ შრომაში ბუნებრივად მეტს უნარს იჩენენ ჩვეულების ძალით; მეორე ისა, რომ იმ სასწავლებლების მეხუთე განყოფილებაში უმეტეს ნაწილად 16—17 წლის ყმაწვილები სწავლობენ, ე. ი. ისეთი ყმაწვილები, რომლებიც ფიზიკურ შრომას ჯერო შეგნებით ეკიდვიან, უფრო ატანენ, ვიდრე ჩვენი „სპეციალურ კლასიანი„ სააზნაურო სკოლის 12—13 წლის ყმაწვილი შესძლებდა. ჩვენ ხომ პირველ განყოფილებაში საზოგადო 7—8 წლის ყმაწვილს ვიღებთ ხოლმე,—სპეციალურ კლასში გადასვლამდე ეს ბავშვი 12 თუ 13 წლისა შეიქნებოდა, ძეტისა ხომ არა!

დიაღ, ის მინდოდა მეთქვა: თვალწინ მიდგას სამინისტრო სკოლები სამეურნეო განყოფილებით, გარეშე თვალისათვის დიდად მოსაწონის ბაღით, და იმ უპირატესობით, რაიცა აღვნიშნე ზემოთ, დაკვირდით ამ სურათს და მიბრძანეთ: როგორ ჰფიქრობთ? ამ სკოლებში კურს დამთავლებულებმა იციან, თუ არა, მეურნეობისა მცირე რამ მაინც? დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გულ-ახდილად მეტყვით: „იმაზე მეტი არაფერი, რაც ამ ყმაწვილებს თავის მ მობლებისაგან შეუძენიათო. ასე მიპასუხებს ყველა, ვინც ამ სასწავლებლებს იცნობს, თუ კი მოპასუხე თავის მიერ დასახელებულ სასწავლებლის „სმატრიტელი“ არ არის, რომელსაც სხვა-და-სხვა მოსაზრებით არ შეუძლიან სახალხოდ დაგვეთანხმოს. დიაღ, ეს ასეა და ამის შემდეგ, საიმედოა განა, რომ იმგვარად გადაკეთებულმა ძველ-სენაკის სკოლამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, რაიმე თვალსაჩინო ნაყოფი გაიმიოლოს?... არასოდეს.

მოსახერხებელია კი იმ მცირე შეძლებითაც, რაცა გვაქვს, საქმე სასარგებლოდ მოეწყოს. ამისათვის საჭიროა აწ არსებულ მოსამზადებელ სკოლის ნაძალადევად შეკავშირებას განძრახულ „სპეციალურ კლასთან“ თავი დავანებოთ, ეს სკოლა საქმის სარგებლობისათვის ახალ-სენაკში გადავიტანოთ, ხოლო ძველ-სენაკის მამული დავუთმოთ სჯუფარავ სამეურნეო პრაქტიკულ სკოლას. „პრაქტიკულ სკოლასაო“ იმისთვის ვამბობ, რომ უფრო როოლის პროგრამით და ხანგრძლივის კურსით სამეურნეო სკოლის დაარსებას იმ საშუალებით, რაც ხელთა გვაქვს, ვერ შეეძლებთ; ხოლო თუ რაიმე საღსარი აღმოგვიჩნდება მომავალში, მაშინ ამ პრაქტიკული სკოლის გადაკეთებაც ადვილი იქნება. მანამ-კი „იმდენზე გავწოოთ ფეხი, რამდენზედაც საბანი გაგვწვდება“, ე. ი. აწინდელ სკოლის ბიუჯეტის შეცვლის ეკონომიის მიხედვით ვიხელმძღვანელოთ „პრაქტიკულ სკოლის„ დაარსების საქმეში.

ამ მცირე თანხით შესაძლებელია გაიმართოს „პრაქტიკული სკოლა მხოლოდ ორის წლის კურსით, სკოლაში 14 წლისაზე ნაკლების ყმაწვილის მიღება სასურველი არ არის. სკოლაში უნდა მიიღებოდნენ, როგორც საზაზნაურო მოსამზადებელ სკოლაში კურს დამთავრებულნი, აგრედვე სხვებიც, თუ რომ ეს უკანასკნელნი ზოგად განათლების საგნებში იმდენად მაინც იქნებიან მომზადებულნი, რამდენადაც პირველნი. სკოლას აზრად ექნება, პრაქტიკულის ვარჯიშობით შეასწავლოს შეგირდებს რამდენიმე დარგი მეურნეობისა. ადგილობრივის ვითარების მიხედვით მეურნეობის მრავალგვარ დარგთაგან არჩეულ უნდა იქმნას ორი-სამი უსაჭიროესი.

მოსწავლეთა რაოდენობა, ჯერ-ჯერობით მაინც, 30—40 ვერ აღემატება, ვინაიდგან აც ნამულის სივრცე, არც სადგომები და არც შეძლება ნებას არ გვაძლევს, რომ ბევრი შეგირდი მივიღოთ. ეს მით უმეტეს, რომ მიუცილებლად მიმაჩნია მოსწავლეთ ბინა თვით სკოლაშივე ჰქონდეთ. უამისოდ სკოლა საწადელს ვერ ძიაღწევს. 15—20 შეგნებული მეურნეც დიდი ღვთის წყალობა იქნება ქვეყნისათვის, თუ-კი სკოლამ მესძინა ამდენი ყოველ წლივ. უფრო დაწვრილებითი შემუშავება სკოლის შინაგანის წესრიგისა მომავლის საქმეა და მომავალი-კი მცოდნე მუშაკსაც აღმოაჩენს.

ახლა ის უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა საშუალებით უნდა იქმნას შეძენილი სკოლის შენობა ახალ-სენაკში, ვინაიდგან სკოლა გადატანილ იქმნა იქ. პირველ ყოვლისა მიწის შეძენაა საჭირო, ბაგრამ სკოლას ისე მცირე ხომის მიწა დასჭირდება, რომ სალაპარაკოდაც არა ჰღირს. საკმარისი იქმნება სულ ნახევარი ქცევა ადგილი, რომ სკოლის შენობა და ყმაწვილების სათამაშო ბოდანი მოთავსდეს; ამ სივრცის ადგილის შეწირვა ერთ რომელსამე მეძამულესაც-კი შეუძლიან, და კიდეც შესწირავენ, როგორც ვიცი. ოთხს საკლასო ოთახიანის შენობის აგება გამგის სადგურებითაც დაჯდება არა უმეტეს 6000 მანეთისა. იმედი მაქვს, ამ ხარჯის თვალსაჩინო ნაწილსაც ახალ-სენაკის მკვიდრნი და მოქალაქენი იკისრებენ, რადგან, სხვა რომ არა იყოს-რა, ამას მათი პირდაპირი ინტერესი ითხოვს. მართლაც, ისეთის პატარა ქალაქისათვის, როგორიც ახალსენაკია, ამგვარ დაწესებულების შეძენა პატარა საქმე როდია; სხვა რომ არა ვიანგარიშოთ-რა, მარტო ისიც დიდი ანგარიშია, რომ დაბას ორასი მოსწავლე გარეშე ყმაწვილი მიემატება, რომელთაგანაც დაბას უკანასკნელი 10,000 მანეთი მაინც შემოუვა წლიურად, მარტო ათის თვისა რომ თითო მოსწავლიდგან მხოლოდ ხუთ-ხუთი მანეთი ჩავაგდოთ. თუ იმასაც ვიტყვით, რომ სკოლის მოხელენიც აქვე იქმნებიან, მაშინ ხომ სკოლის შეძენის გამო დაბის შემოსავალი 15,000 მიაღწევს ყოველ წლიურად. ამ ანგარიშს თუ გაითვალისწინებთ, ჰღირს კიდეც, რომ ახალ-სენაკმა თავდაპირველად ცოტა რამ გაიმეტოს სკოლის შესაძენად. უეჭველია გაიმეტებენ კიდეც, თუ საქმეს გამძღოლი აღმოუჩნდება.

პარ-ლასი.

## ჩვენებური ამბები

**ძიზიეი.** ვისაც ქიზიეის ასი-ათას მცხოვრებელთა დღევანდელი ეფა-ცხოვრება ზედმიწევნით არ შეუსწავლია, მან თუ გარეთ, ის ძნელად დაიჯერებს, რა საქმენი სავერაგონი და საარაგანი ჭდება ქიზიეში სოფლიჯამია ნადირებისაკენ; ამაზედ მრავალ-ჯერ ეფიდა დაწერილებით ჩვენს ეფრსა-ბაზეთებში, მაგრამ არ იქნა, სოფლიჯამია ნადირების ათასნაირ ბოროტ-მოქმედებას კრიჭა ვერ შეეკრა შეფცე საუკუნეშიც.

უმეტესია იკითხავთ: თუ-კი მაგდენი ბოროტმოქმედება ჭდება ქიზიეში, რას აკეთებენ ცხოვრების დარჯად დაუენებული მოხელენი სოფლიასნიო? ძალიან თავიც აქვ ჭმარხია, რომ სოფლიჯამია ნადირების ტეფად მფარველი ბელადები თვით სოფლის ტეტია მოხელეებიეე არიან, მათი უსამართლო სამართალი ბოდიკეთით აგდებს ძირიან-ფესვიანად მდაბიო ხალხს და შეედა არსაით არის მისთვის.

დიაღ, სოფლიჯამია ნადირებს ისე აქვთ თავიანთ მოქმედების საფარაგო მეხანიზმი მომართული; ადამიანებიც რომ ეუდა-ლეფდეთ ბაღიეთ ბოცხალ-ცოცხალი, ეერაეინ-რას დაიჯერებს და ჯოჯოხეთიდამც-კი ფეიქრის მაქოსაეთ ეამოძერებიან სასაჯრდოდ, სათარეშოდ.

ამას ეინად ორს მაშასადამის სხვა მრავალ ბოროტ-მოქმედებასთან ცალკედ დაეამეტება ორმა სოფელმა, რომ სასოფლო ფული შესწამეს, მაგრამ მაინც „ბამოაქეარინეს“ ეენებლად და ადა ეუდ-ანრეანეა ეაეაეა ეეეეეა ეა ეა-თის მიხედეეეეეთ თეეეეე

პალატის პროკურორი პოლლანი და მისი ამხანაგი ჯიბელდი, რომელთა ხელმძღვანელობით ქ. კიშინევის ყველა ¦ამომძიებელნი გამოძიებას შეუდგნენ. დაკავებულია 800 კაცნი, ამ რიცხვში ბევრი ქალებია, რომელნიც თავ-დასხმაში ერივნენ და დაიტაცეს ებრაელთა საქონელი. სატახტო ქალაქის გაზეთები მწუხარებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თავდასხმაში ერივნენ აგრედვე განათლებული აცნი, ზოგიერთი საზოგადო მოღვაწენიცა და ადგილობრივ სასწავლებელთა შეგირდები.

— მოსკოვში ამ რამდენსამე დღის წინად გარჩეულა მოსკოველ მექარხნე თევდორე საველიევის საქმე, რომელსაც სამლოცველო სახლის დაარსება ჰბრალდებოდა. საქმე ასე ყოფილა: ამა წლის მარტის 9-სა ბასმანის ნაწილის მე-2-ე განყოფილ. ბოქაულის თანაშემწე ორის უბნის ზედამხედველითურთ შესულა საველიევის საკანდიტერო ქარხანაში, სადაც ერთს ოთახში მოუსწრია თავმოყრილ 32 კაცისათვის. ოთახის შუაზე, მაგიდასთან, თვით საველიევი იჯდა და სახარებას კითხულობდა, დანარჩენნი მუხლ-მოდრეკილნი იდგნენ და უსმენდნენ მას. მაგიდაზედ ეწყო დაბადება, სახარება და სხ. საეკლესიო წიგნები. ბოქაულის თანაშემწემ ამ ყრილობის მიზეზი ჰკითხა საველიევს. საველიევმა და სხვათ უპასუხეს: ჩვენ აქ შევიკრიბენით ღვთის სიტყის მოსასმენად და საღოცავადაო. მარტის 16-ს პოლიციამ კიდევ მოასწრო სახლში ყრილობას. შვიდი კაცი ყოფილა შეკრებილი საღოცავად. საველიევთან მისი ქარხნის მუშები და ნაცნობები იკრიბებოდნენ. საველიევი მიცემულ იქმნა პასუხის გებაში საღოცავ სახლის დაარსებისათვის.

ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ არ იცნო და განაცხადა,—მე მართლმადიდებელი ვარ, მიყვარს სახარების კითხვა და ჩემ ნაცნობები და მუშებიც, აგრეთვე მართლ-მადიდებელნი არიანო და ჩემთან ლოცვა-ვედრებისათვის იკრიბებიანო. ჩემ სახლში არავითარი ღვთის მსახურება არ სრულდება, სახარების კითხვისა და კერძო ლოცვების თქმის გარდაო. მომრიგებელ მოსამართლემ საველიევი დამნაშავედ არა სცნო, რადგან არ დამტკიცდა, რომ იგი მიმდევარია კანონით აღკრძალულ სექტანტების მოძღვრებისა.

## უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** ბუდაპეშტის ოფიციალურ გაზ. "P. L"-ში დაბეჭდილია წერილი ავსტრია-რუსეთის შეთანხმების შესახებ. გაზეთი მკითხველის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ავსტრია-უნგრეთმა სავსებით დაიცვა ის უფლება, რომელიც ბერლინის ხელშეკრულობამ მიანიჭა,—თუ საჭიროებამ მოითხოვა შევიდეს თავის ჯარით და დაიკავოს მთელი ახალ-ბაზრის სანჯაყი, ე. ი. ჩრდილო ნაწილი ძველ სერბიისა, რომელიც ჩერნოგორიის სამთავროსა და სერბიის სამეფოს შუა მდებარეობს, ქალაქ მიტროვიცით.

გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ისეთი გაზეთები, როგორც „ნ. ვ."-ა, ბრალს აღარა სდებს და გაიძვერაობას არა სწამებს ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკას.

ჩვენდა სასიამოვნოდაო—ამბობს გაზეთი—„ნ. ვ."-ამ უარ ჰყო ჩვენს შესახებ მის მიერვე გამოთქმული ბრალდება, მაგრამ ეხლა გაზეთი სცდილობს ფრთა შეაკვეცოს ამ სიამოვნებას და დაჟინებით ჩასჩურჩულებს და ვიცომ ამშვიდებს ბელგრადისა და ცეტინიეს საზოგადო აზრსა... ბელგრადში არამც თუ ძველ-სერბიის ოსმალთა ჯარით დაქერა აფიქრებთ, არამედ ავსტრია-უნგრეთსაც-კი ეჭვის თვალით შესცქერიან. „ნ. ვ." სცდილობს დაარწმუნოს სერბნი, რომ ავსტრა-უნგრეთის მხრით მათ ცუდი არა მოელისთ-რა. ეს სრული ჭეშმარიტებაა, ეს არა ერთხელ აღუნიშნავთ და ამას წინად ჩვენც მივაქციეთ მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენს შორის აზრადაც არავის გაუტარებია ძველ-სერბიაში პოლიციის ადგილი დაიჭიროს ავსტრია-უნგრეთმა. საქმის ეხლანდელ ვითარებათა მიხედვით ავსტრა-უნგრეთისათვის სრულიად უსაფუძვლო იქნება თავი გაანებოს იმ ზედამხედველობითს მდგომარეობას, რომელშიაც ახლაა.

ხოლო ვგონებთ, რომ რუსული გაზეთი გადაჭარბებით ამშვიდებს სერბებს, როცა ამბობს,—თუმცა ბერლინის ხელშეკრულობით ავსტრია-უნგრეთს სრული უფლება აქვს თვით მიტროვიცამდე მოიყვანოს თავისი ჯარები, მაგრამ ამ უფლებით არ ისარგებლა და 1897 წელს მომხდარ შეთანხმების გამო, ეს საკითხი მოსპობილად უნდა ჩაითვალოსო. უკაცრავად „ნ. ვ."-სთან, მაგრამ ვგონებთ, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. ბერლინის ტრაქტატის მე-25 მუხლის ძალით ავსტრია-უნგრეთს ნება აქვს, რომ status quo-ს დასაცავად ახალ ბაზრის სანჯაყში მეცხოვნენი ჩააყენოს და სავაჭრო და საძხედრო გზები გაიყვანოს. ამ უფლებით სარგებლობას, თანახმად 1879 წ. 21 აპრილის კონვენციის დადგენილებისა, არც ერთი შემდეგ დადებული პირობა არ ეხება. სრულიად საკმარისია უბრალო განცხადება ოსმალეთის მთავრობისა.—ჩვენ არავისგან გვსმენია, ვითომ ეს უფლება დაგვეკარგოს; ვადის გასვლა ვერ გაუქმებს,—ჯერ იმიტომ, რომ ბერლინის ტრაქტატს არ დაუნიშნავს ვადა, რომლის განმავლობაშიაც იგი ძალაში უნდა დარჩენილიყო; მეორეც იმიტომ, რომ, რამდენსამე თვის შემდეგ კონვენციის დამტკიცებისა, ავსტრია-უნგრეთმა ისარგებლა იმ უფლებით და ახალ ბაზრის სანჯაყის ზოგიერთ ადგილებში თავისი მეცხოვნენი ჩააყენა; ეს მეცხოვნენი ეხლაც იქვე არიან დაბინადრებულნი. ამ ჟამად-კი ის საგანი, დაჰკარგა, თუ არა, ავსტრია-უნგრეთმა ბერლინის ტრაქტატის მე-25 მუხლის ძალით მინიჭებული—უფლებანი ახალ-ბაზრის სანჯაყის შესახებ, უფრო საერთაშორისო უფლებათა დისერტაციის თემად გამოადგებოდა მეცნიერს, ვიდრე საგაზეთო წერილისა. მაგრამ ჩვენ მაინც საპიროდ ვსცანით „ნ. ვ."-იას უსამართლო მსჯელობის აღნიშვნა, მით უფრო, რომ ძველ სამოქალაქო უფლებათა წესით, რასაც არ უარჰყოფთ, დამტკიცებულად ჩასთვლიან.

**სერბია.** ს. პროპპერს ლაპარაკი ჰქონია სერბიის მეფესთან ბალკანეთის საქმეთა შესახებ. მეფეს თურმე არა სჯერა ოსმალეთის გულწრფელობა რეფორმების შემოღების შესახებ, და სჩივის, რომ სერბიის საზღვრებთან დიდძალ მხედრობას მოუყარა თავი; მაგრამ იმედოვნებს, რომ დიდი სახელმწიფოები სახეში იქონიებენ სერბიის მშვიდობიან საქციელსა და ჯეროვანადაც დააფასებენ. გარდა ამისა, მაკედონიის სხვა-და-სხვა ტომთა ურთიერთობის შესახებ მეფეს უამბნია შემდეგი:

„როდესაც ამ ექვსის წლის წინად სერბიის მეფე სოფიას ესტუმრა, მთავარმა ფერდინანდმა ჯარების დათვალიერების დროს ერთს მაკედონელ გლეხს ბულგარულად მიჰმართა. გლეხმაც ბულგარულად ისაკა პასუხი; ამ გარემოებით ისარგებლეს და სერბიის მეფეს შეატყობინეს, რომ მაკედონელები—ბულგართა ტომისანი არიანო. მეც ვისარგებლე ამ შემთხვევითაო—ღიმილით განაგრძო მეფემ—და სერბიულ ენაზედ მივმართე იმავ გლეხსა. გლეხმა მაშინვე წმინდა სერბიულს ენაზედვე გამცა პასუხი. ეს ამბავი საყურადღებოა, ვისაცა ჰსურს ეხლანდელ მაკედონიის ენათა შესახებ შეადგინოს თავისი აზრიო".

შეიძლება ენათა შესახებ-კი სამსახური გაუწიოს ვისმე ზემოდ აწერილმა ამბავმა, მაგრამ „ტომობრივ საკითხში"-კი ვერაფრად გამოადგება.

**შეერთებული შტატები.** როგორც დეპეშამ გვაუწყა, შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს უკვე მიუღია ცნობა პეტერბურგის კარზე მყოფ ამერიკელ დესპანისაგან, რომელმაც უარჰყო ის ხმა, ვითომ რუსეთს ჩინეთისათვის ახალი მოთხოვნილებანი წარედგინოს მანჯურიის შესახებ. აპრილის 16-ს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან გეისთან მისულა ინგლისის დესპანი მიქელ ჰერბერტი, რომლისათვისაც მდივანს უცნობებია დეპეშის შინაარსი. ალბად აქამდე სერ მიქელ ჰერბერტიც მიიღებდა ამავე ცნობას თავის მთავრობის მიერ ლონდონიდგან. გერმანიის ელჩი ბარონ შპეკ-ფონ-შტერნბურგიც გამოცხადებულა დეპარტამენტში მანჯურიის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ვაშინგტონის საპოლიტიკო წრეებში დაასრულებულად მიაჩნიათ მანჯურიის გამოატეხილი მითქმა-მოთქმა, გარნა ინგლისის გაზეთობა ჯერ კიდევ ვერ დამცხრალა, და ირწმუნება,—შეერთებულ შტატების მთავრობა დიდხანს ადევნებს თვალ-ყურს რუსეთის მოქმედებას ჩრდილო-ჩინეთსა, მონღოლიასა და მანჯურიაშიო.

— როგორც ვაშინგტონიდგან იუწყებიან, პრეზიდენტი რუზველტი ამ დღეებში მისულა სენ-ლუის, სადაც თავმჯდომარედ უნდა იქმნეს გამოფენის შენობათა კურთხევის დღესასწაულზე.

პრეზიდენტმა გაიარა მონტანის, კანზასისა და იოვის შტატები და ყველგან სიტყვა წარმოსთქვა. მკვიდრნი აღტაცებით ეგებებოდნენ, რაიცა იმას ამტკიცებს, რომ პრეზიდენტს დიდი გავლენა და პატივისცემა აქვს დასავლეთ შტატებში.

რუზველტის სიტყვებს ამერიკელ ქალთა უშვილობისა და ამის გამო ამოწყვეტის შესახებ, როგორცა სჩანს, ჯეროვანი გავლენა მოუხდენია მცხოვრებლებზე, რადგან ეხლა სადაც-კი მივა, ყველგან წინ აგებებენ აუარებელ ბავშვთა ჯარებს. დედები ძუძუმწოვარა ბავშვებით უხვდებიან პრეზიდენტის მატარებელს სადგურზე.

ეხლა რუზველტი იძულებულია, გარდა იმისა, რომ მოქალაქეთ უნდა ჩამოართვას ხელი პატარა ამერიკელებიც გადაჰკოცნოს. კანზასის ერთ ქალაქში პრეზიდენტს შემოეტყა ბავშვთა ჯგუფი, რომლის ერთი ნაწილიც დიდის ამბით შევიდა მის ვაგონში ბაირაღით, რომელზედაც წარწერილი იყო: „აქ არა აქვს ადგილი მოდგმათა, ამოწყვეტას ტყდი!"

**ჩინეთი.** ნანკინში არსდება სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლის პროფესორებადაც 12 იაპონელი ინიშნება. ეს პროფესორები აურჩევია იაპონიის პრინც კონოუეს ჩინეთის გენერალ-გუბერნატორ ჯანჯითუნგის თხოვნისამებრ.

**იტალია.** გაზ. „Popolo Romano"-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა შედეგი ექმნება ინგლისის მეფის სტუმრობას. სხვათა შორის, გაზეთი ამბობს: „როგორც ეს ცნობილია, ინგლისის ელჩი ბერლინში ბარონ ფონ-ბიულოვი ეცადა ბერლინის ტრაქტატის 25 მუხლის ძალით ავსტრია-უნგრეთისა ... ... ...

ეს საზოგადოებანი ებრძვიან სახლის პატრონთ, რომელნიც ცუდად მოწყობილ ოთახებს აქირავებენ დრაბი და დიდ ქირას ახდევინებენ ხალხს. ბრუსაში ამის წინად ახალი კანონი გამოსცეს, რომლის ძალით სასამართლოს ბოქაულს არა აქვს ნება აუწყროს ვალში დარიბ მეგიდრთ განსაზღვრული სხვა-და სხვა ნაირი უსაწერო-ესი საოჯახო ნივთები.

დღეს გერმანიის 30 ქალაქში მოქმედობს საადგურების დამქირავებელ დარიბ მეგიდრთა მფარველი საზოგადოებანი, რომელნიც მრავალ გვარი საშუალებით ეწევიან დარიბებს, მართავენ მათთვის შემნახველ კასებს, თავდებად უდგებიან სახლის პატრონთა წინაშე, შუამდგომლობენ დარიბ მეგიდრთა და სახლების პატრონთა შორის, იცავენ დარიბებს საწერაო ხელშეკრულობის მძიმე პირობებისაგან. გერმანიაში ძრიელ იშვიათად მოხდება ხოლმე დარიბი ოჯახის ქუჩაში განძევება ქირის შეუტანლობის გამო, რუსეთში-კი ამის მაგალითები მრავლადა.

## ნარევი და ნაკვესი

### დუელის საწინააღმდეგო მოძრაობა.

დღითი დღე მატულობს დუელის წინააღმდეგ მოძრაობა. საზოგადოება განსაკუთრებით აღელვებულია სტუდენტების შორის გავრცელებულ დუელთ და ჭსურთ ძირითად ადმოუფხვრან ეს დასავსებული და მაგრე საშუალება შებღალული თავმოყვარეობის აღსადგენად. სტუდენტთა შორის დუელი საულ უბრალო მიზეზის გამო ჭდება ხოლმე და ხშირად სამუსრობლაც თავდება. კარლსბადის უმაღლეს სტუდენტა სასწავლებელს ამ ცოტა ხანში დაუდგენია სასწავლებლიდგან დათხოვნა იმ სტუდენტებისა, რომელნიც დუელში გამოიწვევენ ვინმეს, ან თითონ კაენვებიან. სტუდენტების სასტიკად აღკრძალული აქვთ აგრეთვე დუელში მოწმებად, ან სეკუნდანტებად დასწრება.

დუელის საწინააღმდეგოდ შესდგა საზოგადოება ავსტრია-უნგრეთშიაც.

საზოგადოების კომიტეტმა ამ დღეებში გამოაქვეყნა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მინისტრის ცირკულარის საწინააღმდეგო პასუხი. ამ ცირკულარით ავსტრია-უნგრეთის ჯარის კაცებს სასტიკად აღეკრძალათ დუელის საწინააღმდეგო საზოგადოებაში წევრობა. კომიტეტი უმტკიცებს მინისტრს: დუელი უკანონობაა და, მაშასადამე, თვენი ცირკულარი უკანონობას, მაგრე ჩვენდამ ბრარს უწერსო. ამ ჟამად დუელის საწინააღმდეგო საზოგადოებას ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ჰყავს წევრად, რომელთაც სახელი მეთოფოში დიდი პატივისცემა, სახელი აქვთ დამსახურებული.

—

### ამსაბურის გულ-მხურვალედ აღსრულება.

ცამბირის რკინის გზის ერთ სადგურის უფროსს შემდეგი მოხსენებანი გაუგზავნია თავისს მთავრობისთვის:

1. ამათ ვატეობინებ თქვენს მადლ შობიდებას, რომ მეორეს ექვთიმე ბავარეოვს მეგასურ ვიდაც დედაკაცის კოცნაზედ; ეგედასთვის ცოდა, რომ კოცნა კაცს ენერგიას და ჯან-დონეს აკლებს, მეორეს-კი იმის მაგიერ, რომ თავისი ჯან-დონე შეუბობისათვის მოენდობინა, უგუნურად გამოიეენა,—კოცნას მოანდომა, რისთვისაც იგი დავპატიმრე. ვედი თქვენს განკარგულებას.

2. ამ წლის იანვრის რვას, სადამოს 9 საათზედ, მეორე მორდვინოვი, იმის მაგიერ, რომ თავისუფალი დრო მოხვენებისათვის მოენდომებინა, თავისს მცირე წლოვან ქალს ანასტასიას და დაობდა, მადა ისვრიდა და ეადერსებოდა. დამნაშავე დავითხოვე.

სინტერესოა, ამ მოსამსახურეს ამ უგუნურ ერთგულებაზედ თავისს მთავრობიდგან რა პასუხი მოუვიდა, ამას-კი არ მოგვითხრობს ეურნალი, რომელიდგანაც ეს ამბავი ამოვიდეთ.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

### რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ქ-ნ მარიამ გეგელაშვილისგან მივიდე კრასნოგოდსკში შეკრებილი 140 მან. ჩვენი მსახიობის ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ.

გთხოვთ უმორჩილესად, დასტამბოთ შემდეგი სია შემომწირველთა:

ბოლკ. ი. დუმბაძემ და ნიკ. ლეგ. ზალდასტანოვმა—ათ-ათი მანეთი, ნ. გეგელაშვილმა—5 მ. და 50 კაპ., ბოლკოვ. ვ. ციკლაუროვმა, ხარალ. სირბილაძემ, დ. სერებრიაკოვმა, ა. ბაშაევმა, ს. ახუმოვმა, ა. ბახშალიევმა, ს. დირიმ, აშუროვმა, ბ. ოსიპიანცმა, დ. ერკემაშვილმა და ი. ოქროშვილიდოვმა—ხუთ-ხუთი მანეთი, კაპიტ. ბამფოდოვმა, თავ. სუმბათოვმა, ბოლბორუნ. ლეკეტაძემ, კაპიტ. რნეულოვმა, ბორუნ. ბ. ბოთეამ, ს. სუკასოვმა, ა. ციკლაურმა, დ. სენნენკოვ და ბ. ბორიოვმა—სამ-სამი მანეთი, შტ.-კაპიტ. ნ. ტატიევმა, ა. ზაბელინმა, კ. ბეტერსონმა, ა. ბოდეშნეკმა, ფ. ნათიევმა, დ. ტერენტიევმა. ტ. ტერ-მიქელიანცმა, ს. ტრუბეცკოიმ და ა. მიდდერმა—ორ-ორი მანეთი, შტაბს-კაპიტ. ბეკოვ—1 მ. 50 კ.

ვ. ლებედევმა, ს. ჩიმაკაძემ, ნ. ხაჩატუროვმა, ე. ნათიევისმ, ნ. ნათიევისამ, ვ. ფონ-ბიდდერმა, ნ. ბაშკევიჩისამ, დ. ბაშკევიჩმა, ი. ბაშკევიჩმა, დ. ზალდასტანოვმა, ა. ბრეგეშ-კვინტომ, არვანიტაკიმ და ბოდკოვ. ვოდანიკოვმა - ითითო მანეთი.

ვ. ს. მესხიშვილის მაგიერ უდრმეს მადლობას ვუძღვნი, როგორც მარიამ გეგელაშვილისას, აგრეთვე ზემო აღნიშნულ შემომწირველთ.

ივ. ის. პურადოვი.

P. S. ვინაიდგან შესაძლოა, რომ უმეტესმა ნაწილმა შემომწირველთა ქართული ენა არ იცოდეს, უმორჩილესად ვსთხოვ კახ. „ნოვ. ობოზრენიე“-ს—კალაბეკლის თავისს პატივცემულს გაზეთში ეს წერილი და მით საშუალება მოგვცეს მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირი, რომელთაც, მიუხედავად სხვა ტომობისა, დახმარება აღმოუჩინეს ჩვენი ქართული სტენის მსახიობს ვ. ს. მესხიშვილს.

ი. პურადოვი.

## ᲓᲔᲙᲔᲨᲘ

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“)

26 აპრილი.

**პეტერბურგი.** 26 აპრილს, შემეკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წინა დღეს, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გადაიხადეს პანაშვიდი, რომელსაც დასწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე შემეკვიდრე, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული უფროსი.

26 აპრილს თავრიდის სასახლეში გაიხსნა სრულიად რუსეთის ბიბლიოთეკის გამოფენა.

**ასხაბადი.** მდინარე ტეჯენი ნაპირზე გადმოვიდა და წალეკა მიდამოები; ქალაქ ტეჯენში ბევრი სახლი დანგრია წყალმა, ბევრიც გაუფუჭა. რკინის გზის დაანგი ხუთი ვერსის მანძილზე წყლით არის დაფარული; მატარებლების მიმოსვლა შეწყდა. მდგომარეობა საშიშია. მაზრის ადმინისტრაცია ყოველ დღეს დინობს მცხოვრებთა და მათ საცხოვრებლის გადასარჩენად.

**სტამბოლი.** სულთანმა მიიღო საფრანგეთის, ინგლისის და საბერძნეთის ელჩები და გამოუცხადა მათ, რომ მშვიდობიანობის აღსადგენად მიღებულ დინანდობათ კარგი შედეგი მოჰყვაო. ბორტა უარ ჰყოფს ხმას, ვიტომც ადმოჩენილი მიწის ქვეშ კაპეთებული ნავმი ოტტომანის ბანკის ასაფეთქებლად.

**სოფია.** ბიტოლიის ახლო სასტიკი ბრძოლა მოხდა; მასში მონაწილეობა მიიღო სარაფოვმა. ოსმალეთ 150 კაცი მოუკლეს.—გუშინ დანეგს წარეგზა ოსმალეთის კომისარი და გამოუცხადა, რომ სალონიკში მომხდარ აფეთქებათა გამო უსამოენო ინციდენტი კეთილებულად უნდა ჩაითვალოსო.

**ვარშავა.** იტყობინებიან, რომ გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფთის უწყების მოდაბარაკებ აქვს რუსეთის ამაგე უწყებასთან ბერლინსა და მოსკოვს შუა დამტებითი სატელეგრაფო მეთოდების გაეგანის შესახებ.

**სოფია.** ოფიციოზური გაზეთი „ბულგარია“ ეხება მაკედონიის უკანასკნელ ახალ ამბებს; გაზეთი არ იწონებს დინამიტით მოქმედებას, მაგრამ ბრალს ოსმალეთის მთავრობასა სდებს. დინამიტის ეუმბარები ბულგარიაში დამზადებული არ არისო. ოსმალეთი სრულს ანარხიაში იმყოფება, წესრიგის დაცვა ვეღარ შეეძლოო და რადა გასაკვირველია, რომ ადმოხნდნენ თავზე ხელადებულნი, რომელთაც უკიდურეს იარაღს მიჭმრთესო. თუ ოსმალეთი რეფორმების შემწეობით ვერ შესძლებს მაკედონიის დამშვიდებას, უარესი აშბებიც არის მოსალოდნელიო.

**სტამბოლი.** სოფელ სერესთან ბულგართა რაზმი თავს დაეცა ოსმალეთა ჯარს; ოსმალები გარს შემოუხვევენენ ბულგარელთ და ეველა ამოსწყვიტეს.

**სალონიკი.** ავსტრიელ სიფოსტო კანტორის ახლო, ბაში, იპოვეს რამდენიმე კილოგრამი დინამიტი.

ორშაბათს სადამოს ბულგარელებმა ეუმბარები ისროდეს მეჩითში და მოჰკლეს 11 კაცი, 19-იც დასჭრეს.

უსეოუბში საკონსულოების ჯარები იცავენ.

**პარიეი.** ბულგარიის მთავარს საუბარი ჰქონდა პრეზიდენტ ლუბეესთან და კარეშ სამეთა მინისტრთან. მთავარი სადამოს მიდის პარიეიდგან სოფიაში.

ლეს რუსეთის ელჩმა საუზმე გამართა ბულგარიის მთავრის პატივსაცემად.

27 აპრილი.

**სტამბოლი.** უთანხმაება ბოლგარეთის დიპლომატიის საგენტოში, რომლის ქალაქდებიც დაწერილი იეო, გართულდა. ბოდიციის მინისტრმა სინანული გამოაცხადა და ბრძანა ქალაქების დაბრუნება.

ბორტამ ხელმძღვანელ დიპლომატიურ წრეებისგან მიიღო მეგობრული რჩევა, რომ მან არ გაავრცელოს ენერგიული ზომები მაკედონელ კომიტეტთა და ეუმბარების ამფეთქებელთ წინააღმდეგ მიღებული ამ პირებზედ, რომელთაც საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათ, მოერიდოს სასტიკ ზომებს, თუ მეტის-მეტი საჭიროება არ მოითხოვს ამას და ბოდიციის დარჯების სასტიკობა, თავიდგან აიცილოს ეოველი, რასაც-კი შეუძლიან ისეც აღელვებული ხალხი უარესად გაანაწყენოს და მას ბორტას წინააღმდეგ ბრალდების საბუთი მისცეს. ბორტამ დიპლომატებისგან კიდევ მეგობრული რჩევა მიიღო იმ ზომების შესახებ, რომელიც იმან უნდა მიიღოს ქალაქებში, სადაც კომიტეტებს კიდევ ახალი საქმეები განუხრახავთ.

**ლისაბონი.** დონდონის მთავრობასა და საბანკო დაწესებულებათა შორის მოლაპარაკება 4 მიდიან გირ. სესხის შესახებ წინ მიდის.

**ნიცა.** ვიდდა-ფრანკოს მეოფი ამერიკის ესკადრა მაისის გასულს კიდს კეამართება.

**სტამბოლი.** ედჩის ცნობები და ბორტას მოსსენებანი ბიტოლიაში მომხდარ ამბების შესახებ ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ედჩის მოხსენებით, შეიარაღებული ოსმალები დაეტენენ ბულგარელებსა. ბორტა, პირიქით, ამტკიცებს, რომ არეულობა ბულგარელთა მხრით მომზადებული და გამოწვეული იეოო.

ქალაქში მშვიდობიანობაა; ჯარს უწერავს ქალაქი. ვაჭრობა და მიმოსვლა შეწეეტილია.—გუბერნატორმა მიანდო საელჩო კორპუსს უტხოელთა დაცვა. ის ხმა, ვითომც დიდძალ ჯარს მოუერიან თავს ბულგარიის საზღვარზედ, არ მართლდება.

**პეტერბურგის ბირჟა,** 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიეში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიეში ,, | 37,67½ |
| ბირეის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅜ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅜ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 435½ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 334½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. საზელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 297½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 91 მყიდ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, „ „ „ | — |
| ,,კასპიის ამბანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამბ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 199 წვ. გაყ. |

### მიმოსელა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 ღილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 ღილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 ღილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა** და **ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 ღილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; ღღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; ღღის 2 ს. 23 წ.; ღღის 4 ს. 48 წ.

**ზოლაპნისაკენ:** ღღის 3 ს. 8 წ.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ გამგეობა აქირავებს ბორჯომში ახლად შეკეთებულ 2-სართულიან საკარაკო სახლს თავისავე ავეჯეულობით; ეს სახლი ი. ს. აბესალომოვისეულია და ამ ჟამად ქალაქს ეკუთვნის; შედგება 5 ოთახისაგან ქვედა სართულში და 4-ოთახიდგან ზედა სართულში, სამზარეულოებითა და სხვა საჭირო ოთახებით. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ-დღე, უქმეების გარდა, ღილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(ნ. 2—1).

### ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 3 მაისს შაბათისათვის და ხუთ მაისს ორშაბათისათვის ქ. ფოთის მმართველობის სადგურში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დაგირავებულის ძვირფასის ნივთეულობისა, მხვედრი სარგებლის შემოუტანლობის გამო.

(2—ნ.—2).

### ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

**სიმღერა** აკაკისა. ფასი . . . . . 15 ,,
**პატრა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) . . . 5 ,,
**ვაჭარული ბაკუა,** ლექსი აკაკისა . . . . 5 ,,
**დათუნა გოცირიძე** { ძველებური ამბავი
**როსტომ ერისთავი** { აკაკისა . . . . 5 ,,
**აბრამის და იობის** ლექსი . . . . . 3 ,,
**ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) . . . . . 5 ,,
**ოქრი ძოსტეფილა**
**ბიბია მენახირე** { ხალხური ზღაპარი. 10 ,,
**მეფე და სკვინრა**

ვინც მოისურვებს ეს წიგნების სტენვა ან ლაბარება, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) ანდაგვანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ძალთა. ანისამბლის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ეოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

**ს. მ. ბ. თოდფურიას**

### სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ეგებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

### ᲥᲐᲯᲐᲜᲐ

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

### ᲐᲚᲘ

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე

### ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ

**ტ ფ ი ლ ი ს ᲨᲘ**

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სვეტრნი ნომრების“ ქვეშ.

**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, ღილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის ᲨᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ საუკეთესო თვისების საოფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), საღოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულობა, საღეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—15)

### ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲐᲛᲨᲘ

იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად

### საუკეთესო საგარაკო ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაქენი. უმთავრესი ქუჩა ათ საქენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა).

(25—23)

### ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ

**ქალთა ტანისამოსისა.**

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲔᲜ ᲤᲐᲡᲐᲓ.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**ᲐᲥᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲠᲐᲓ**

**კაბა-ანაფორა**

**და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. редактор-издатель А. И. Карагишвили.